

აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესი

მუხლი 1. აკრედიტაციის ექსპერტობის კანდიდატისთვის წაყენებული მოთხოვნები

1. აკრედიტაციის ექსპერტობის კანდიდატს (შემდგომში - ექსპერტობის კანდიდატი) უნდა ჰქონდეს:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) აკრედიტაციის სისტემისა და პროცესის შესახებ ცოდნა;
- გ) ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის სტრუქტურირებულად გადმოცემის უნარი;

დ) კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა.

2. ექსპერტობის კანდიდატმა უნდა იცოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- დ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულება“;
- ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“;
- ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“.

3. ექსპერტობის კანდიდატმა, აკრედიტაციის სტანდარტებთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით უნდა იცოდეს:

- ა) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 განკარგულებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმა“.

4. ექსპერტობის კანდიდატმა, აკრედიტაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით უნდა იცოდეს:

- ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №9/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი;
- გ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული სტანდარტები (არსებობის შემთხვევაში).

5. ექსპერტობის კანდიდატმა, აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით უნდა იცოდეს:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“;

ბ) შესაბამისი მიმართულების დარგობრივი მახასიათებლები (არსებობის შემთხვევაში).

6. ექსპერტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე.

მუხლი 2. წარსადგენი დოკუმენტაცია

ექსპერტობის კანდიდატმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) რეზიუმე (Curriculum Vitae);

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) ინფორმაცია რეკომენდატორ(ებ)ის ვინაობისა და თანამდებობის შესახებ საკონტაქტო მონაცემების მითითებით;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ნოტარიუსის მიერ) დამოწმებული ასლი;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ერთი ფოტოსურათი (3X4), როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით (ჩაწერილი CD-ზე).

მუხლი 3. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა

1. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევას ახორციელებს ამ ბრძანებით განსაზღვრული აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის კომისია (შემდგომში - კომისია).

2. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

3. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კომისია ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესის მე-2 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან და ატარებს გასაუბრებას, რომლის თარიღიც ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, გასაუბრების ჩატარებამდე არანაკლებ 1 დღით ადრე.

4. გასაუბრებით დგინდება, რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ამ წესით მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

5. გასაუბრების შედეგების საფუძველზე კომისია შერჩეულ ექსპერტობის კანდიდატთა შესახებ რეკომენდაციას წარუდგენს ცენტრის დირექტორს.

6. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ექსპერტთა სიას.